ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №5
(კონსოლიდირებული ტენდერი CON140000018)

22 სექტემბერი 2014 წ.

თბილისი

ერთის მხრივ **„მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „იუ-ჯი-თი"** (შემდგომში „მიწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე ხელაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადის შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 1(ერთი) ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის (შემდგომში „საქონელი", CPV-30213100) სახელმწიფო შესყიდვა დანართი #1-ის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება") 782.99 (შვიდასოთხმოცდაორი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
4.1.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
4.1.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
4.2.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს მეხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ლევან ქიტუაშვილი;
5.2. საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.
5.3. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღე;
6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა;
6.3. მიწოდებულ საქონელთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები, საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში;
7.2. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს, შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მეთითება მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი.
7.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია ქონების მართვის განყოფილების უფროსი ლევან ქიტუაშვილი; მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია პროექტების მენეჯერი, გელა გაფრინდაშვილი;
7.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას მხარეები შერჩევის მეთოდით ახორციელებენ მიწოდებული საქონლის ვიზუალურ დათვალიერებას ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინსპექტირებას, რის შედეგადაც დგება მიღება-ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად.

8. გარანტია

8.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მოშსახურება სამი წლის ვადით;

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიწოდებელს. ხოლო მიწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას მოითხოვნიდან და საგარანტიო საჭონლის მიწოდებლის სერვის ცენტრში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

9.3. სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ლეპტოპის მიწოდებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

9.4. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ფასები

10.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

10.1.1. საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;

10.1.2. ინფლაციის მაღალი დონე;

10.1.3. საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

10.2. ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. თუ მიწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

11.2. თუ მიწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

11.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

11.3.1. მიწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში (საგარანტიო მომსახურების ვადის ჩათვლით) დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.01%-ის ოდენობით;

11.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.6. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო;

11.7. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და შემსყიდველთან შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები;

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13.2.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელშეკრულებო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

13.3.თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. ფორს-მაჟორი

14.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

14.2.ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გათვალისწინებული ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

14.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოსახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1.წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მის: ქ.მცხეთა, ანტიოქიის N7

ს/კ 236098824

ბანკის დასახელება სს.ლიბერთი ბანკი

ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ნ GE11LB0120118541380000

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზურაბ აბესაძე

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი"
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა
ს/კ 204892964

საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

გენერალური დირექტორი

[illegible]

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №
09.09.2014წ.

დანართი #1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	სტანდარტული პორტაბელური/სტაციონარული კომპიუტერი (ლეპტოპი) HP Pro Book 455 Notebook PC	**Display:** 15.6 LED 1366x768 **Camera:** WEBCAM integrated 720p HD **OS:** SuSE LinuX **Processor:** AMD Elite Quad-Core A10-5750M **Memory:** 4GB 1600MHz DDR3 1DM **HDD:** 500GB 5400RPM **ODD:** DVD+/-RW SM DL **Battery:** 6 Cell 47 WHr **Communication:** Ralink 3290LE bgn 1x1 +Bluetooth WW **AC Adapter:** 65 Watt 1.8m Smart	ცალი		782.99	
					ხულ დღგ-ს ჩათვლით:	

შემსყიდველი:
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მის: ქ.მცხეთა, ანტიოქიის N7

ს/კ 236098824

ბანკის დასახელება სს.ლიბერთი ბანკი

ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ნ GE11LB0120118541380000

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი"
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა
ს/კ 204892964

საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზურაბ აბესაძე

გენერალური დირექტორი